საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

"21" 10 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1458/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 15 ოქტომბერს N დმ-971949 განცხადებით კომპანია „Red Bull GmbH"-ის წარმომადგენელმა ლილიანა დარახველიძემ (მის: Am Brunnen 1, A-5330 Fuschl am See, ავსტრია) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Red Bull ENERGY DRINK" (საერთ. N 871248) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Red Bull ENERGY DRINK" (საერთ. N 871248) საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებულია 28.07.2005 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 28.07.2015 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Red Bull ENERGY DRINK" (საერთ. N 871248) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 382), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 21.10.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანია „Red Bull GmbH"-ის წარმომადგენელს ლილიანა დარახველიძეს (მისამართი: თაქთაქიშვილის N4, 0179, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
21 " 10 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

საერთაშორისო რეგისტრაციის N 871248

მფლობელი: Red Bull GmbH, Trademark Department

მისამართი: Am Brunnen 1, A-5330 Fuschl am See , AT

კლასი:

32 - Non alcoholic beverages including refreshing drinks, namely, energy drinks and isotonic (hyper- and hypotonic) drinks (for use and/or as required by athletes); mineral water and aerated waters for preparations of or use with energy drinks; fruit drinks and fruit juices for preparation of or use with energy drinks; syrups, essences and other preparations for preparations of or use with energy drinks as well as effervescent (sherbet) tablets and powders for preparation of or use with energy drinks.